ხელშეკრულება მომსახურების გამარტივებული შესყიდვების შესახებ №0206

ქ.თელავი 10 თებერვალი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის ვასილ დავითაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **შპს „ლიმბო“ მისი დირექტორის სულხანი ჭარბაძეს** სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს გახსნასთან დაკავშირებით ალაფუშეტით მომსახურება.**
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის მეთოდით. დაფინანსების წყარო- ადგილობრივი ბიუჯეტი

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია განახორციელოს **ალაფუშეტით მომსახურება** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება: **2011 წლის 10 თებერვლიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე;**

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი : ქ. თელავი ერეკლე II №16

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია :
- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს გაწეული მომსახურება.

5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- გაუუქმოს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურება, თუ მისის ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება: **150 (ას ორმოცდაათი) ლარი.**

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **უნაღდო ანგარიშსწორება**
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): **მომსახურების შემდეგ, ეტაპობრივად**
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: **ანგარიშ-ფაქტურა;**

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უსუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრზელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **ამა წლის 28 თებერვლამდე;**

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატყება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

11.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კ 231280093
ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16

„მიმწოდებელი“

შპს ლიმბო სულხანი ჭარბაძე
ს/კ 231165235
თიბისი ბანკი თელავის ფილიალი
კოდი 220101824
ა/№ GE14TB0900003602010078
ტელ:825076107

„შემსყიდველი“ _____

„მიმწოდებელი“ _____